პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
2011 წ. II კვარტალი (წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2011 წლის II კვარტალში 203 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 17 პროცენტით აღემატება ამავე წლის I კვარტალის მონაცემებს. ამასთან, 2011 წლის I-II კვარტლების ჯამური წინასწარი მონაცემი 0.6 პროცენტით აჭარბებს წინა წლის შესაბამისი პერიოდის დაზუსტებულ მაჩვენებელს.

ცხრილი №1 ასახავს მოცემული მაჩვენებლის დინამიკას 2009-2011 წლებში.

ცხრილი №1
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2009-2011* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2009				2010				2011*	
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	114.0	177.2	173.2	194.0	166.5	208.3	225.6	214.1	173.7	203.4

*წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2009-2011* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

2011 წლის II კვარტალში შვიდი უმსხვილესი ქვეყნის წილმა საქართველოში განხორციელებულ მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 79 პროცენტი შეადგინა. 2011 წლის ორი კვარტალის ჯამის მიხედვით ქვეყნების პოზიციები ასე განაწილდა (ცხრილი №2):

ცხრილი №2

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2011* წლის I-II კვარტალის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2010			2011*		
	I	II	I-II	I	II	I-II
სულ	**166.5**	**208.3**	**374.8**	**173.7**	**203.4**	**377.1**
მათ შორის:						
კვიპროსი	-1.6	31.6	**30.0**	41.4	15.8	**57.3**
ნიდერლანდები	40.7	-9.3	**31.4**	25.1	19.6	**44.8**
თურქეთი	33.3	12.6	**45.9**	13.9	22.0	**35.9**
გაერთიანებული სამეფო	9.1	23.7	**32.7**	28.7	4.0	**32.8**
საერთაშორისო ორგანიზაციები	3.0	12.4	**15.4**	8.7	22.9	**31.6**
რუსეთი	5.6	19.4	**25.0**	19.8	10.2	**30.0**
ვირჯინის კ-ები	-1.7	37.3	**35.6**	19.6	9.7	**29.2**
აზერბაიჯანი	11.4	16.2	**27.6**	11.7	13.2	**24.9**
ინდოეთი	0.0	0.1	**0.1**	7.5	14.5	**22.0**
აშშ	4.9	48.6	**53.5**	-34.0	52.1	**18.1**
არაბეთის გაერთიანებული ემირატები	3.4	21.5	**24.9**	5.5	12.1	**17.6**
გერმანია	8.0	3.1	**11.1**	5.6	7.4	**13.0**
ყაზახეთი	-14.0	-2.7	**-16.7**	7.9	3.8	**11.7**
დანარჩენი ქვეყნები	64.5	-6.3	**58.2**	12.3	-4.0	**8.3**

* წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა №2



* წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას 2011 წლის II კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა, სადაც პირველ ადგილზე აშშ იმყოფება 26 პროცენტით, მეორე და მესამე ადგილზე - საერთაშორისო ორგანიზაციები და თურქეთი 11-11 პროცენტით.

დიაგრამა №3



* წინასწარი მონაცემები.

2011 წლის ორი კვარტლის ჯამის მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით მოცემულია ცხრილში №3:

ცხრილი №3

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2010-2011* წწ. I-II კვარტალში

	2010			2011*		
	I	II	I-II	I	II	I-II
სულ	**166.5**	**208.3**	**374.8**	**173.7**	**203.4**	**377.1**
მათ შორის:						
მრეწველობა	55.7	91.5	**147.2**	82.8	29.5	**112.3**
საფინანსო სექტორი	10.4	26.0	**36.4**	39.8	34.3	**74.1**
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	15.0	33.6	**48.6**	1.8	56.0	**57.8**
უძრავი ქონება	15.7	39.6	**55.3**	7.0	49.0	**56.0**
მშენებლობა	3.1	-7.3	**-4.2**	14.4	12.5	**26.9**
სასტუმროები და რესტორნები	22.7	-10.3	**12.4**	3.4	8.9	**12.2**
ჯანმრთელობის დაცვა	0.1	-0.2	**-0.1**	3.9	1.1	**5.0**
სოფლის მეურნეობა	3.3	2.9	**6.2**	1.6	1.9	**3.5**
დანარჩენი სექტორები	40.5	32.6	**73.1**	18.9	10.3	**29.3**

* წინასწარი მონაცემები

დიაგრამა №4

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2011* წლის II კვ. (%)



* წინასწარი მონაცემები.

უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის I და II კვარტალის მონაცემები წინასწარია და ექვემდებარება დაზუსტებას წლიური სტატისტიკური გამოკვლევის მასალების დამუშავების შემდეგ.

წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

www.geostat.ge